ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5742934

ნომერი: AR1868685

თარიღი : 20.12.2021

გაცემის თარიღი : 27.12.2021

გაცნობის თარიღი : 27.12.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფირდოუსის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ღვანიძე პ/ნ 01010000724
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 3/5/7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 20 დეკემბერს №AR1868685 განცხადებით მომართა თეიმურაზ ღვანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის №1635999 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის №1635999 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.04.017.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 24 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2016 წლის 12 იანვრის №2381354, 2017 წლის 24 თებერვლის №3118559, 2018 წლის 09 მარტის №3856469 და 2020 წლის 02 ნოემბრის №5170570 ბრძანებებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის №1635999 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა საბოლოოდ გაგრძელდა 2021 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 06 დეკემბრის №ბ-10/012124952-17 ბრძანება ქ. თბილისში, ფირდოუსის ქ. №5-ში (ს/კ: №01.18.04.017.011) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და განმარტავს, რომ აღნიშნულ ბრძანებაში მითითებული ხარვეზები გამოსწორებულია და აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის №1635999 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 06 დეკემბრის №ბ-10/012124952-17 ბრძანებიდან დგინდება, სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის №1635999 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებით დარღვევით არის ნაწარმოები, როგორც შიდა გეგმარებითი, ასევე, ფასადის სამუშაოები. შესაბამისად, ვინაიდან, სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია დარღვევით, აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს და იგი საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის №1635999 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.